# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 370 | ქვირა, 8 იანვარი 1906 წ. | გაზეთის № 2975


## მეგობარს

„ოჰ, მეგობარო!“—ეს ტკბილი ბგერა
რადც ზარის ხმად წვდება ამ ჩემს გულს
და მარად, მარად თვალწინ მიუენებს
ჩვენს სულთა-სწრაფვას შეკავშირებულს!...

როცა ჭაბუკი, ძალ-ღონით სავსე,
ცელქი ოცნებით გატაცებული,
მონობის ბორკილთ შესამუსრავად
თვით ბუნებითვე თავ-დადებული,

შენ უეცოდი რა ამხანაგებს,
გმირებს ეძებდი თვით შინაფიცარს
და ტუვიას მტრისას წინ უგებდი
ქედ-მოუხრელად თვით გულის ფიცარს;

როცა ის მკერდი, ვით ბრძოლის გემი,
ზღვა-ოკეანის ტალღებს ამობდა,
მაშინ, ოჰ, ძმაო, შეუმჩნეველად
თურმე იუდა ჩვენ გვალატობდა!.



**ილია ხარსელი.**
ცნობის ფურცლის თანამშრომელი. დეკემბრში, მოსკოვის რევოლიუციის დროს მოკლული.

რას ვიფიქრებდით, თუ მოულოდნათ
ასეთი რასხვა დაგვატეხებოდა
და მიმართული მტრისკენ მახვილი
მოძმისვე ხელით გადგვიტეხებოდა!..

ოჰ, ენა მებმის... ბრახი მერევა...
თურმე ბელზებელს მსახურებდა ის!..
ზიზღი მის მშობელს!.. კრულვა მის ალმზრდელს
და შეჩვენება აწ და მარადის!..

და, ჭა, ნაოფი ვერაგობის:
შენ მანდა ზიხარ ბნელ, ცხრა-კლიტულშიო
და სულის სწრაფვა, იდეალები,
ძმაო, ღალატით ჩაგიგდეს გულში!..

ეგ სამარეა, სადც სიკვდილსა
ჭვრეტ და არა გეკლავს, ისე გაწამებს,
და შამ-ეგესლს ახასევს დარაჯო ფეხის ხმა
თვით უკანასკნელ სიცოცხლის წამებს!..

მე კი, საწყალი, აქ ვეხეტები,
ვით ულაბნოში ბზა დაკარგული,
თვით სინდისი მქენიჯნის, მაწვალებს
და რადც ურე ხმით მიკვნესის გული!..

თვალწინ მიდგია შენი ახრდილი,
„რა აკეთეო?!—რომ მთხოვს ანგარიშს.
მე კი შენს ნათელ სახის წინაშე
ვკრძნობ სულის თრთოლვას, კამოუთქმელ შიშს!..

ფუ, ამ სიმხდალეს! ფუ ამ დაჩრობას!!
რად არ მაქვს ძალა? რად არ ვარ გმირი,
რომ ჩემი თავი შენთან ნათელ ვეო
და შეკისრულო სიტყვა და ბირი!..

„რას შვრები, კაცო!“—მეძახი შენ და
უფრო მედება მით ძრწოლის ალი,
„ორთოდეე, დაჩარო! ზიზღი, მონაო!“—
მწარედ დამცინის ხმა იდუმალი!..

„აბა ხელ-მარჯვეთ!—მაძლევ შენ ნიშანს:—
„კასწერე თავი, მამულის-შვილო!“
მე კი სოროვის ვეძებ თავგასას!..
ვაი, სირცხვილო! ვაი, სირცხვილო!..

„ოჰ, მეგობარო!“—ეს ტკბილი ბგერა,
თუმც გულს კვლავინდებრ ელამუნება,

**ილია ხარსელი.**
ეს სურათი გადაღებულია სიკვდილის ორი დღის წინად

**დასაფლავება ილია ხარსელისა.**


ფუნდამენტალური ბიბლიოთ. ФУНДАМЕНТАЛЬНАЯ БИБЛИОТЕКА


მაგრამ მძაგს თავი, მძაგს კაცთა ტომი,
სადც კვლავ მეფობს დალატ-ცდუნება!..

**დ. თომაშვილი**

„ობის წინ. — ნახატი როტტერისა.

# კრავი

საშობაო მოთხრობა ი. პოტაპენკოსი

საღვთისმეტყველო კლასის მოსწავლე ლუკა კოლუპნენკო, მარტოდ-მარტო დარჩა საშობაოთ სემინარიის პანსიონში. ყველანი ნათესავებში წავიდ-წამოვიდნენ, კოლუპნენკოს კი არავინ მოეძებნებოდა, რომ ?ედნიერი დღეები მასთან გაეტარებინა.

აგერ სრული ორი დღეა მარტოა, არ იცის რა ჰქნას.

ტანთ ეცვა გძელი, უშნო, შავი სერთუკი და გრძელი სახელმწიფო წაღები. ყველაფერი სახელმწიფო ჰქონდა. აბანოშიც კა ამ სამის დღის წინად სახელმწიფოს ხარჯით იბანავა. მოელს თავისს თავს რაღაც სახელმწიფოდა სთვლიდა.

ისეთი წუთი არა ყოფილა საბრალო კალუპნენკოს ცხოვრებაში, როცა კი სახელმწიფოდ არ ეკრძნო თავი. წყვდიადით იყო მოცული მისი წარსული, მასაც სხვებსავით მშობლები ჰყოლია ოდესღაც რომელიღაც მივარდნილ სოფელში, ისიც სხვებსავით ბალღი ყოფილა... მოჩჩა და გათავდა, მთელ თავისს წარსულიდგან მეტი არაფრის ხსოვნა არა ჰქონდა.

ის ჯერედ კიდევ სრულიად ნორჩი მიაბარეს ბურსაში და მაშინვე თავში ჩაკუნი დაუწყეს. სცემდნენ აღმზდელები, სცემდნენ უმფროსი კლასის შეგირდები, სცემდნენ მასავით პატარა ამხანაგები. იქნება სწორედ ამ თავში ჩაკუნისაგან გახდა ისეთი მშვიდი და წყნარი, რის გამოც მას მეტ სახელად „კრავი“ უწოდეს.

შემდეგ უცებ თავში ჩაკუნს თავი გაანებეს, იქნება იმიტომ რომ, დავაჯაცდა და სხვებსავით წვერ-ულვაში მოუვიდა, ან იქნებ იმისთვის, რომ ბურსა შესცვალეს და მის ბაგიერ კორპუსი დააარსეს.

მაგრამ კალუპნენკოსთვის სულ ერთი იყო: ამ ცვლილებას მისთვის ნივრიც არ შეუხრია, ისე სახელმწიფო კაცად დარჩა, მთელს სიცოცხლეში დღესასწაულებში არავისთან წასულა და ისევ ძველს სახელს „კრავს“ ატარებდა. ცუდად სწავლობდა და რამდენჯერმე დარჩა ერთსა და იმავე კლასში, მაგრამ იმის მიხედვით, რომ მონათესავე არ მოეძებნებოდა და ამასთანავე წყნარიც იყო, ვით კრავი. სახელმწიფო ლუკას არ აკლებდნენ და ამ რიგად რის ვაი-ვაგლახით მიახწია უკანასკნელ საღვთისმეტყველო კლასამდის.

კოლუპნენკოს მოეწყინა წინ-და-უკან სიარული და გაბრაზებული სკამზედ ჩამოჯდა, მაგრამ საჩქაროდვე წამოხტა, მრისხანედ სტოლს მუშტი დაარტყა და თავისთვის წარმოსთქვა

„არა, აღარა მსურს! აღარა მსურს კრავად ყოფნა აღარასფერს გაუგონებ მამა-ინსპექტორს, აღარას შევეპოვები მამა-რექტორს. აღარ მსურს წყნარად ყოფნა! უნდა მოვიქმედო რამ... არც კი ვიცი რა მოვიქმედო!.. მომწყინდა ასეთი ცხოვრება, მომწყინდაააა!“

ასეთის ბეჯითის გადაწყვეტილებით კოლუპნენკომ მიუმატა ბოლთის ცემას.

ამ დროს სემინარიის ეკლესიაში ზარი ჩამოჰკრეს.

„აჰა, სთქვა კოლუპნენკომ, მწუხრის ზარსა რეკვენ... რეკონ სანამ მოეწყინებოდეთ. მე კი ეკლესიაში არ წავალ არას გზით... ღმერთმა დამიფაროს! აგერ სრული თოთხმეტი წელიწადია გამუდმებით ყოველ კვირა-უქმეს წირა-ლოცვაზედ დავდივარ. არ იქნება, რომ დღეს არ წავიდე... არ მინდა და არ წავალ — კაცია და გუნებაო!“

მივიდა ფანჯარასთან, დირეზედ ჩამოჯდა, გულზედ ხელები დაიკრიფა და კარებისაკენ მოწყენილი ყურება დაიწყო. ჩამოიარეს პირველის, მეორის, მესამეს და ბოლოს მეოთხე კლასის კორპუსში დარჩენილმა შეგირდებმა. კოლუპნენკო კი გულ-ხელ დაკრეფილი იდგა უძრავად და წასვლას არ აპირებდა.

გამოჩნდა აღმზდელი, მომცრო ტანის, წიწკლა თავიანი კაცი, რომელსაც შეგირდები, „ბოლოკას“ ეძახდნენ მეტსახელად. ბოლოკამ შეჯყო კარებში თავი და მიიხედ-მოიხედა.

კოლუპნენკო უნებლად ჩამოხტა დირედგან და საჩქაროდ ტანისამოსის სწორებას მოჰყვა.

— თქვენ, კოლუპნენკო, რატომ ეკლესიაში არ მოდიხართ? ჰკითხა აღმზდელმა.

„არ მინდა და არ წამოვალ! რას მიზამ ბოლოკა? ვნახოთ ერთი?..

კოლუპნენკომ ეს კი არ წარმოსთქვა, გაიფიქრა მხოლოდ და აღმზდელს ასეთი პასუხი მიცა:



უბურობა ტფილისში. — ნახატი როტტერისა.

— არდალონ არესტოვიჩ, ამ წუთში წამოვალ, ამავ წუთში.

— კარგი... ჩქარა კი წამოდი, თორემ ლოცვა უკვე დაიწყო.

უნაგთობა ტფილისში. — ნახატი როტტერისა

„დაიწყო...“ დიახ, დიდი რამ არის თუ დაიწყო! არ მსურს და არ წამოვალ, ჩემი ნებაა და არ წამოვალ“, გაიფიქრა კოლუპნენკომ და იქვე მიბრძანდა ქუდის ასაღებად და ნელის ნაბიჯით გასწია ეკლესიისაკენ.

კოლუპნენკო შევიდა ეკლესიაში, კარებთან გაჩერდა, პირს ჯვარი გამოისახა და გაიფიქრა: „ეკლესიაში კი მოველ, არ ღირდა ბოლოკასთან წაჩხუბება, ბოლოკა კარგი კაცია, არ შეიძლებაა რომ მას აწყენინოს კაცმა. მაგას თუ ჰგონია მგალობელთა გუნდს შევუერთდები და ვიგალობებ, ძალიან მოტყუებულან. რის გულისათვის? კარგი ხმა რომ მაქვს იმიტომ უნდა ვიდგე და ღრიალით ყელი ამოვიხახო?... აღარა მსურს გალობა. მთელს ჩემს სიცოცხლეში ასე ხომ არ ვიდგები და ვიღრიალებ. ჯერეთ კიდევ პატარა რამ ვიყავი პირველ ხმას მაგალობებდნენ, როცა კი წამოვიზარდე ბანს მაგალობებდნენ. რის გულისათვის? არა მსურს და არ ვიგალობებ. აბა თუ კარგი ბიჭები არიან ძალზე მაგალობონ“...

ასეთის გადაწყვეტილებით კოლუპნენკომ გაიარა მთელი ეკლესია, შეუერთდა სემინარიის მგალობელთა გუნდს და ჩვეულებისამებრ გალობა დაიწყო. საგალობელი საგალობელს მიზდევდა, კოლუპნენკო გულმოდგინეთ ყურს უგდებდა რეგენტს, რომელიც კონვერტონით ხმას აძლევდა მგალობელთ და ჩვეულებისამებრ ბანს აძლევდა.

კოლუპნენკო შესცქეროდა რეგენტს და ფიქრობდა:

„რა გააჭირე საქმე მაგ შენი კონვერტონით. რაში მეკნაჭება შენი ხმის მოცემა... რამდენიც გინდა ხმა გვაძლიო, მაინც შენს მოცემულს ხმაზედ არ ვიგალობებ... მომბეზრდა ყველა ეგ, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, თოთხმეტი წელიწადი ასე ვდგევარ და გიმღერი. მომბეზრდა, მეტი აღარ შემიძლიან“.

რეგენტი კი თავისას არ იშლიდა, კონვერტონს წამ და უწუმ აწკარუნებდა და ხმას აძლევდა მომღერალთ. კოლუპნენკო უნებლად ჰყვებოდა მის ხმას და ამ რიგად მთელი მწუხრი გამოიყვანეს. ეკლესიიდგან რომ გამოვიდნენ და ხალხი მილაგ-მოლაგდა, პატარა წკრიალა ზარის ხმა გაისმა. საღამო ჟამი იყო და უკვე ჩამობნელებულიყო.

„ოჰო, სთქვა კოლუპნენკომ.—სასადილო ოთახში გვეძახიან, იქ ეხლა კოლიო და მოხარშული გამხმარი ხილი იქნება დამზადებული! ეკონომმა მითხრა, რომ ყველაფერი დამზადებული გვაქს! კოლიო წამხდარის თაფლით იქნება შეზავებული და ხილი კიდევ ჭია-მატლის გამოხრული. განა სულელი ვარ, რომ მაგისთანა სისაძაგლეებს დავეკარო! თავისს დღეშიც არა... ჩვენი ეკონომს-ქეციან თხას თითო შეგირდზედ წელიწადში 150 მანეთი გამორჩენა აქვს! ყველაფერი გაგებული მაქვს. ბანკში ათასი თუმნობით აქვს ფული შენახული... ვიცი ყველაფერი, მაგრამ ჩუმადა ვარ. ჩუმადა ვარ, იმიტომ რომ კარაი ვარ. მამა ინსპექტორა და ეკონომი ერთმანეთში იყოფენ ჩვენს ფულს. ესეც კარგად ვიცი, გაგებული მაქვს. მაშ ტყუილად ვითმენ ამ თორმეტის წლის განმავლობაში ბურსაკულს ცხოვრებას. დაწვრილებით მაქვს შეტყობილი მაგათი ხრიკები. თორმეტი

ხომეხ-თათართა შეტაკება ტფილისში.—დარაჯები ვორონცოვის ქუჩაზე. ნახატი გრინევსკისა.

წელიწადია ყოველივე სისაძაგლეს მაკმევენ. ღმერთმა უწყის რაღა არ მაჭამეს? აყროლებული ხორცი, ჭიებისაგან დახრეული სუხარი, დამპალი კრუპა კომბოსტო. საკვირველია, როგორ ავიტანე ყოველივე ეს და ცოცხალი გადავრჩი. ეხლა კი მორჩა და გათავდა, საკმარისია ამდენი დამცირება... აკიდნენ თავს, წავალ ქუჩა-ქუჩა, შევალ რომელიმე ოჯახში და ვეტყვი: მე ერთი საბრალო ბურსაკი ვარ, მთელი თოთხმეტი წელიწადია ბურსის აშმორებულს საკმელსა ვჭამ... ღვთის გულისათვის ამ ბედნიერ დღეს თქვენთან ერთად მასადილევით... არა, ესე არ ეკარგება. ჯერამ ინსპექტორისა და ეკონომის ოხტში უნდა მოვიდე. აიგერ კორაპნის ბოლოში ინსპექტორი ეკონომი სდგანან, წავალ ვეტყვი: „თქვენ ასეთ-ისეთებო! ბგონიათ კიდევა ვჭამო თქვენი აყროლებული საკმელი? თოთხმეტი წელიწადია ასე მტანჯავთ, კმარა! თქვენა ბგონიათ, კოლუპნენკო კრავია? ძალიან შემცდარხართ. მე თქვენ გიჩვენებთ როგორი კრავიცა ვარ“..

— შენ ეი, კოლუპნენკო, მანდ რას უცდი? დროა სასადილოში წასვლისა. შენ ხომ არ მოგიცდიან... ასე გამოსძახა კორაპნის მეორე მხრიდგან ინსპექტორმა.

— ამ წუთში მამა ინსპექტორო! ამ წუთში! მიუგო კოლოპნენკომ, თავი ჩაქინდრა და სასადილოსკენ გაემართა სასადილო ოთახში სადაც „ბოლოკა“ წინ და უკან დადიოდა ორ გძელ მაგიდის შუა. კოლოპნენკო გაჩქარებით სჭამდა კოლიოსაც, მოხარშულ ხილსაც და პირიშვებასაც „ბოლოკა“ მიუახლოვდა და დაცინვის კილოთი ჰკითხა:

— ბ. კოლუპნენკო, მე მგონი პიროშკები არ მოგწონს?

— პიროშკები? შემკრთალის ხმით უპასუხა კოლუპნენკომ: — არა უშავს რა... კარგია... მშვენიერია! „არ ღირს მაგასთან წაჩხუბება, არ ღირს! გაიფიქრა ამ დროს კოლუპნენკომ: ვახშმის შემდეგ მე ვაჩვენებ მაგათ სეირს... ავდგები და წავალ აქედგან! რა უყოთ, რომ მამა ინსპექტორმა უბძანა პიშკრის დაკეტა! დიდი რამაა აი! ვითომ კედელზედ კი [illegible] ბურსაკებისაგან უკვე საფეხურები არის გაკეთებული... ბევრი ბურსაკი გაპარულა ღამ-ღამობით ამ გზით, მაგრამ აღმხდელებს კი ვერაფერი გაუგიათ... მე ასეთი საქმე ჯერ არსად ჩამიდენია, ჯერ ეგ ერთი იმიტომ, რომ კრავი ვიყავი, მეორეც კიდევ სად ჯანაბაში უნდა წავსულიყავი, რომ ნაცნობ-ნათესავები არავინა მყავს და გროში კაპეიკიც არსაი მომეძებნება... დღეს კი უსათუოდ გავიქცევები და წავალ... სად წავალ? ვის მივადგები კარს? რა ვუყოთ, რო ა ნაცნობები არავინა მყავს და ფულიც არა მაქვს! ასე უფულოდ შევალ სამიკიტნოში, დიაბ სამიკიტნოში, მერე რაო? ბევრნი ბურსაკები დაიარებიან სამიკიტნოში და ამბობენ იქ ძალიან სიმხიარულეაო, — მივალ და ვეტყვი, მომიტანეთ ერთი ჭიქა ღვინო, ფულს კი ამ ჟამად ვერ მოგცემთ, როცა გავათავებ, ცოლს შევირთავ და ღვეღლი გავხდები მაშინ გადაგიხდით. მომიტანენ ღვინოს, გადავკრავ და დავითრები. მერე „ბოლოკა“ რას მეტყვის, ან ინსპექტორი, რექტორი? განა არავინ მოელის ჩემგან ასეთს საქციელს? კოლუპნენკო კრავიაო! მე თქვენ გაჩვენებთ, როგორი კრავიცა ვარ! ცოლსაცა ხომ შევირთავ ოდესმე... მართალია განა! ამასაც ხომ ვერ დამიშლის „ბოლოკა“, ინსპექტორი ან გინდა თვით რექტორი.

ზ. ედილი

(დასასრული იქნება)

— გზა „რომ ასე მოდ ებულია, ქვიშას ვერ წაყური?

— ახლა, ბატონო, ვერ გაარჩევ, მოდიბუდ გზაზე დაუცურდეფეხი და იმიტომ წაიქცა, თუ ტევია მოხვდა სიდანმე.



რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი